თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 15 სექტემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 5

2022 წლის 15 სექტემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ელდარ ბუბუბლაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ვაჟა კიკნაძე, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სხდომის მდივნად აირჩიეს მარიამ ჩხარტიშვილი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (ბრძანება N 256/01-01, 01.09.2022) კომისიის შექმნა.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (ბრძანება N 256/01-01, 01.09.2022) კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა საკონკურსო კომისიის წევრთა კანდიდატურები:

ოთარ ჯანელიძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიისა და თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი;
უჩა ბლუაშვილი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულიკო კვანტიძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი, ისტორიის დოქტორი;
პაატა სურგულაძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ლავრენტი ჯანიაშვილმა, ნინო მინდაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 13 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 1.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (ბრძანება N 256/01-01, 01.09.2022) კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ წამოაყენა ოთარ ჯანელიძის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - უჩა ბლუაშვილის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - გულიკო კვანტიძის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 13 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 1.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ოთარ ჯანელიძე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - უჩა ბლუაშვილი, კომისიის მდივნად - გულიკო კვანტიძე.

სხდომამ დაადგინა:

1. შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (ბრძანება N 256/01-01, 01.09.2022) კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ოთარ ჯანელიძე - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიისა და თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი;

უჩა ბლუაშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულიკო კვანტიძე - კომისიის მდივანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი, ისტორიის დოქტორი;

პაატა სურგულაძე - კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. აბაშიძის სახელობის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სხდომის მდივანი: **მარიამ ჩხარტიშვილი**

15. 09. 2022

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს 2022 წლის 15 სექტემბრის სხდომას
ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი
თანამშრომლები:

გიორგი ჭეიშვილი

ლევან გორდეზიანი

მარიამ ჩხარტიშვილი

ავთანდილ სონღულაშვილი

ქეთევან ხუციშვილი

როლანდ თოფჩიშვილი

ლიანა ბითაძე

გიორგი ქავთარაძე

ვახტანგ გოილაძე

ეკა კვაჭანტირაძე

ვაჟა კიკნაძე

ელდარ ზუბულაშვილი

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო მინდაძე

ხათუნა იოსელიანი

სალომე ოქრუაშვილი

ლავრენტი ჯანაშვილი